სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

Research

ივლისი 2022

2022 წლის ივლისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] 173 **ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **276 ლარი.** საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა ივლისში **118 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივლისში **563 ლარი** შეადგინა. გურიაში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 1001 ლარი შეადგინა, თბილისში - 619, აჭარაში - 612, ხოლო კახეთში - 522 ლარი.



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2022 წლის ივლისში, 2022 წლის ივნისთან შედარებით, 13.3%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 12.7%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 15.9%-ით გაიზარდა.

2022 წლის ივლისში, 2021 წლის ივლისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 13%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 12.2%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 20.2%-ით გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2022 ივლ/ 2022 ივნ	2022 ივლ/ 2021 ივლ	2022 ივლ/ 2022 ივნ	2022 ივლ/ 2021 ივლ	2022 ივლ/ 2022 ივნ	2022 ივლ/ 2021 ივლ
კახეთი	1.6%	16.5%	4.4%	15.6%	0.5%	16.9%
იმერეთი	2.0%	12.8%	1.1%	20.2%	2.3%	9.5%
გურია	17.9%	14.5%	12.6%	23.7%	35.4%	6.0%
ქვემო ქართლი	14.4%	0.3%	10.0%	18.9%	19.0%	-28.6%
აჭარა	22.0%	17.9%	17.7%	17.1%	35.1%	26.6%
რაჭა	11.9%	24.2%			11.9%	24.2%
შიდა ქართლი	13.3%	-1.6%	11.1%	-3.8%	14.0%	0.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	10.7%	0.9%	8.2%	-4.1%	12.3%	5.3%
სამცხე-ჯავახეთი	30.1%	20.5%	36.2%	15.5%	27.5%	23.1%
მცხეთა-მთიანეთი	6.3%	8.8%	10.4%	10.8%	3.5%	7.6%
თბილისი	9.3%	10.3%	9.4%	9.2%	8.4%	20.9%
სულ ფასების % ცვლილება	**13.3%**	**13.0%**	**12.7%**	**12.2%**	**15.9%**	**20.2%**

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2022 წლის ივლისში, 2022 წლის ივნისის ფასებთან და 2021 წლის ივლისის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.